**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №15

ქ. ბათუმი 14 თებერვალი, 2018 წ.

**„ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №45 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №81 დადგენილების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N45 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება, კერძოდ:

**ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვროს გზები და ტაქტიკური სქემები (ქვეამოცანები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები **(შემდეგში ,,დაგეგმილი აქტივობები“) დანართი 1**-ის შესაბამისად.“;

ბ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**);

გ) დადგენილების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს $1^1$ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1[1]. დამტკიცდეს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმის და წინამდებარე დადგენილების დანართი 1-ით დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის თანდართული წესი (**დანართი 2**).

2. წინამდებარე დადგენილების აღსრულების მიზნით ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს გამოსცეს სამართლებრივი აქტის ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ.

3. წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.

4. დადგენილება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„დამტკიცებულია“
„ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების
შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ”
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N45 დადგენილებით
დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევი გზები
და ტაქტიკური სქემები (ამოცანები, განხორციელების ვადები,
განმახორციელებელი სტრუქტურები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები)

მიზნები:

1. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სოციალური როლი უნდა შეასრულოს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული.

3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის.

4. ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს.

5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის მხარდაჭერას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.

6. უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორები, როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში.

7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.

8. აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ეფექტური.

## მიზნის მისაღწევად დასახული გზები და ტაქტიკური სქემები:

**მიზანი 1. უნივერსიტეტმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი სოციალური როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.**

**გადაჭრის გზები:**

1.1.საზოგადოებაში უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრისადმი, ნდობა;
1.2. უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ჩაერთოს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ, საზოგადოებრივ და ეროვნულ პროცესებში;
1.3. უნივერსიტეტი უნდა იყოს ქველმოქმედების მხარდამჭერი და განმახორციელებლი;
1.4. უნივერსიტეტმა საზოგადოებაში უნდა დაამკვიდროს აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები;
1.5. უნივერსიტეტმა უნდა აღმოაჩინოს, წარმოაჩინოს და წინსვლაში დაეხმაროს ახალგაზრდა ლიდერებს, რომელთაც შესწევთ უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში;
1.6. უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისათვის;
1.7. უნივერსიტეტის ვებგვერდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, გაზეთი, სტუდია და გამომცემლობა უნდა წარმოადგენდეს აქტიურ საზოგადოებრივ ინსტრუმენტებს.

**1.1. საზოგადოებაში უნდა გაიზარდოს უნივერსიტეტის, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრისადმი, ნდობა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **რა მომცა უნივერსიტეტმა**: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წარმოჩენა უნივერსიტეტის ვებგვერდისა და მასმედიის გამოყენებით. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე / სოციალური ქსელის გვერდზე წლის განმავლობაში განთავსებული კურსდამთავრებულთა წარმატებული ისტორიების რაოდენობა მინიმალური = 10 | საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.<br><br>ბსუ-ს ტელე-რადიო სტუდია | მიზნობრივი აუდიტორიის გამოკითხვამ უნდა გვი-ჩვენოს უნივერსიტეტის მიმართ კეთილგანწყობის ყოველწლიური 3-5 % ზრდა. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **აღმოაჩინე უნივერსიტეტი**: უნივერსიტეტის ფარგლებში მკვლევართა და სტუდენტთა მიერ შესრულებული სამეცნიერო მიღწევების წარმოჩენა უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში მიღწეული წარმატების შესახებ სატელევიზიო /რადიო სიუჟეტების / პრესკონფერენციების მინიმალური რაოდენობა = 6 | | |
| 3 | **როგორ ასწავლიან უნივერსიტეტში**: უნივერსიტეტის პროფესორების მიერ შემუშავებული და გამოყენებული სწავლების მეთოდების პოპულარიზაცია უნივერსიტეტისა და სხვა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში პოპულარულ (საერთაშორისო) საგანმანათლებლო ჟურნალში წარმატებულ სწავლის მეთოდებზე სტატიების მინიმალური რაოდენობა = 1 | | |
| 4 | **საინტერესო უნივერსიტეტი**: უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი შემოქმედებითი და სპორტული გუნდების წარმოჩენა უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის წრეების წარმატებები შესახებ მასმედიაში პუბლიკაციათა / სიუჟეტების მინიმალური რაოდენობა წლის მანძილზე = 12 | | |

1.2. უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ჩაერთოს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ, საზოგადოებრივ და ეროვნულ პროცესებში:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **რეფორმებში ჩართულობა**: უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის მიერ განხორციელებულ რეფორმებში ექსპერტებისა და კონსულტანტების სახით. | + | + | + | + | + | + | + | წლის მანძილზე პერსონალის სხვადასხვა კომისიებსა და საბჭოებში მონაწილეობის მინიმალური რაოდენობა = 12 | სასწავლო დეპარტამენტები.<br><br>კვლევითი ინსტიტუტები.<br><br>სტუდენტური თვითმმართველობა.<br><br>სტუდენტთა მომსახურების ოფისები.<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. | შეგროვებული ინფორმაცია საჯარო რეფორმებთან მიმართებაში, მასმედიაში გამართულ დისკუსიაში, პროექტებში, შეხვედრებზე, კონფერენციებსა და ფორ-უმებში აკადემიური პერსო-ნალის მონაწილეობის შესახებ, ყოველწლიურად უნდა აჩვენებდეს აქტივობე-ბის 3-5%-იან ზრდას. |
| 2 | **უნივერსიტეტის აზრი**: უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა აქტუალურ საკითხებზე წარმართულ საზოგადოებრივ პოლემიკაში. | + | + | + | + | + | + | + | პერსონალის მონაწილეობით გამართული სატელევიზიო შოუს / საზოგად. ფორუმების მინიმალური რაოდენობა წლის მანძილზე = 8 | | |
| 3 | **უნივერსიტეტის ჩართულობა**: უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში. | + | + | + | + | + | + | + | სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა სამოქალაქო /საზოგადოებრივ პროექტებში წლის მანძილზე მინიმუმ = 10 | | |
| 4 | **გლობალურ ფორუმებში ჩართულობა**: უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა აქტუალურ პრობლემატიკაზე გამართულ საერთაშორისო ფორუმებში. | + | + | + | + | + | + | + | პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში წლის მანძილზე მინიმუმ = 4 | | |

1.3. უნივერსიტეტი უნდა იყოს ქველმოქმედების მხარდამჭერი და განმახორციელებელი:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მეურვეობა:** სოციალურად დაუცველ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პირთა მატერიალური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დახმარება, მ.შ. „შეღავათები სწავლის საფასურში“ პროგრამის მეშვეობით. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში დახმარება გაწეულ პირთა მინიმალური რაოდენობა = 30 | ადმინისტრაცია. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური,<br><br>ფსიქოლოგიური კლინიკა.<br><br>კვლევითი ინსტიტუტები.<br><br>სტუდ. თვითმმართველობა. სტუდენტთა მომსახურების ოფისები.<br><br>აგრარული საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალი. | იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ დახმარება, კონსულტაცია, წლიდან წლამდე 3-5% უნდა იზრდებოდეს. |
| 2 | **ქველმოქმედი უნივერსიტეტი:** სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის მეშვეობით საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა. | | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობის მინიმალური რაოდენობა = 5 | | |
| 3 | **დაეხმარე შშმპ:** ფსიქოლოგიური და პროფესიული ტრენინგების მეშვეობით განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა (ინკლუზიური განათლების ხელშეწყობით). | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში ტრენინგების მსმენელთა მინიმალური რაოდენობა = 30 | | |
| 4 | **დაეხმარე სოფელს:** სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აგრარული ტექნოლოგიების სწორად გამოყენების მიზნით რეკომენდაციების გაცემა, მ.შ. მაღალმთიან რეგიონებში | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში კონსულტაციის მიმღებ პირთა მინიმალური რაოდენობა = 30 | | |

1.4. უნივერსიტეტმა საზოგადოებაში უნდა დაამკვიდროს აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებები:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **არა-პლაგიატს** : სამაგისტრო, სადოქტორო, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შრომებში პლაგიატის დადგენის მიზნით პროგრამის „ანტიპლაგი" ამოქმედება. | + | + | + | + | + | + | + | „ანტიპლაგის" (გაცნობითი სემინარები, პლაგიატის აღმოჩენის და თავის არიდების მექანიზმები, აღმოჩენაზე რეაგირების პროცედურები) დანერგვის პროცესი შემდეგია - სადოქ-ტორო ნაშრომები-სამაგისტრო ნაშრომები-საბაკალავრო ნაშრომები-უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ შრომების კრებულებში შესული ნაშრომები: ყოველი ეტაპის ათვისებაზე 1 წელი გამოიყოფა | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>ფაკულტეტები<br><br>იურიდიული კლინიკა<br><br>სტუდენტის მომსახურების ოფისები | პლაგიატის შემთხვევები პრაქტიკულად უნდა გაქრეს 2024 წლისთვის<br><br>უნივერსიტეტის აქციების ბენეფიციართა რაოდენობა წლიურად 3-5%ით უნდა იზრდებოდეს. |
| 2 | **ავამაღლოთ წიგნიერების დონე**: უნივერსიტეტი სათავეში ჩაუდგება საზოგადოებრივ კამპანიას ქალაქსა და რეგიონში წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აქციების (მ.შ. „გაიღე წიგნი") ფარგლებში შეგროვებული წიგნების რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 300 ერთეულს. | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | **დაცული საზოგადოება:** უნივერსიტეტი სათავეში ჩაუდგება კამპანიას, რომელიც უფლებადაცვით საქმიანობას და შესაბამისი ჯგუფების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს. | | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აქციების (მ.შ. იურიდიული კლინიკის საქმიანობით) ბენეფიციართა რაოდენობა წლიურად მინიმუმ 50 კაცს შეადგენს | | |

**1.5. უნივერსიტეტმა უნდა აღმოაჩინოს, წარმოაჩინოს და წინსვლაში დაეხმაროს ახალგაზრდა ლიდერებს, რომელთაც შესწევთ უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ახალგაზრდა ლიდერი:** უნივერსიტეტში ლიდერის თვისებებით გამორჩეული სტუდენტების აღმოჩენა და მათი უნარ-ჩვევების სხვადასხვა მიმართულებით (კულტურა, მეცნიერება, ბიზნესი, პოლიტიკა და სხვ.) განვითარება და პოპულარიზაცია, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ. | | + | + | + | + | + | + | სხვადასხვა კონკურსების, ინიციატივების მხარდაჭერის გზით ყოველ ფაკულტეტზე ყოველწლიურად მინიმუმ ერთი ლიდერის წარმოჩენა და მისი განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება | სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური<br><br>სასწავლო დეპარტამენტები<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | გამოკითხვებში ყოველწლიურად 3-5%ით მეტი პასუხი უნდა აფიქსირებდეს უნივერსიტეტის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **ცნობილი სახეები**: არაპოლიტიკური ლიდერების, მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული აქტიურობით დაკავებული ბიზნეს-, საზოგადოებრივი და კულტურის ლიდერების მხარდაჭერა, პარტნიორობა და მათი პოპულარიზაცია. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად მინიმუმ ერთი ცნობილი სახე / ორგანიზაცია გახდება უნივერსიტეტის პარტნიორი რაიმე პროექტის ან სოციალური აქტივობის ფარგლებში. | | |
| 3 | **ითანამშრომლე:** უნივერსიტეტი წაახალისებს სტუდენტური და აკადემიური კონსორციუმების შექმნას, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდა ლიდერებს განავითარონ საზოგადოებრივი აქტიურობა ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. | | + | + | + | + | + | + | მინიმუმ ერთი ახალი კონსორციუმი შეიქმნება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. | | |

1.6. უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისათვის:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სოციალური პარტნიორობა:** საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა აქტივობებისათვის გამოიყენონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტი უფრო აქტიურად ჩაერთვება გაერთიანებებში, კავშირებსა და | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად ახალ გაერთიანებებში, ასოციაციებსა და კავშირებში ჩართვის რაოდენობა = 2 | ფაკულტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, | მოცემულ პუნქტში უნივერსიტეტის ჯამური ყოველწლიური აქტივობა უნდა იზრდებოდეს 3-5%ით (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური ან დროითი კრიტერიუმის მიხედვით). |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ორგანიზაციებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. | | | | | | | | | სტუდენტური ორგანიზაციები. | |
| 2 | **ეკო-პარტნიორობა:** უნივერსიტეტი უფრო აქტიურად ჩაერთვება სხვადასხვა ეკოლოგიური ხასიათის გაერთიანებებში, კავშირებსა და ორგანიზაციებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე და თავის ინფრასტრუქტურას შესთავაზებს სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად. | | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად განხორციელებული ეკოაქციების რაოდენობა (მ.შ. ჩართულობა ბორჯომის ტყის აღდგენის აქციაში „აღადგინე) = 2 | | |
| 3 | **ბიზნეს-პარტნიორობა**: უნივერსიტეტი გაერთიანდება ეკონომიკური პროფილის მქონე სხვადასხვა კავშირებსა და ორგანიზაციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე და საკუთარ პოტენციალსა და ინფრასტუქტურას შესთავაზებს სხვადასხვა არაკომერციული პროექტის განსახორციელებლად. | | + | + | + | + | + | + | სხვადასხვა ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციებში გაწევრიანების წლიური რაოდენობა = 1 | | |
| 4 | **დიალოგი**: უნივერსიტეტი უნდა იყოს საზოგადოებისთვის საინტერესო, აქტუალური საკითხებზე გამართული დიალოგებისა და დებატების ჩატარების ინიციატორი, საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს ამ მიმართულებით გამოიყენონ მისი ინფრასტრუქტურა, აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალი. | | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული საზოგადოებრივი დიალოგების, ფორუმების რაოდენობა წლიურად = 2 | | |

1.7. უნივერსიტეტის ვებგვერდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, გაზეთი, ტელე-რადიო სტუდია და გამომცემლობა უნდა წარმოადგენდეს აქტიურ საზოგადოებრივ ინსტრუმენტებს.

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აქტიური ვებგვერდი**: უნივერსიტეტის სოციალური ქსელი აქტიურ საკომუნიკაციო საშუალებად უნდა იქცეს. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის განახლებული ვებ-გვერდის მომხმარებელთა რაოდენობა საშუალო წლიურად 3-5%ით უნდა იზრდებოდეს (ვებ-გვერდზე შესაძლებლობა იქნება მრავალი სერვისის ელექტრონულად მიღება. | საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური<br><br>უნივერსიტეტის გამომცემლობა და გაზეთი<br><br>მასობრივი კომუნიკ-აციის საგანმანათლ-ებლო პროგრამები<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითა-რების, კულტურისა და სპორტის სამსახური. | უნივერსიტეტის საზოგადოებასთან კომუნიკაციის დაფარვის არეალი 3-5%-ით უნდა იზრდებოდეს საშუალო წლიურად. |
| 2 | **უნივერსიტეტის გაზეთი** უპირველესად ორენტირებული უნდა იყოს სტუდენტზე, პროფესორზე, მკვლევარზე, ასევე უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის პოზიციას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის გაზეთის (მ.შ. ელექტრონული ფორმით მომხმარებელთა რაოდენობა საშუალო-წლიურად 3-5%-ით უნდა იზრდებოდეს) | | |
| 3 | **უნივერსიტეტის გამომცემლობა** თავისი საქმიანობით უნდა გასცდეს უნივერსიტეტის ფარგლებს და სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის გამოცემის მნიშვნელოვან ცენტრად იქცეს. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის განახლებული გამომცემლობის მიერ შესრულებული შიდა და გარე სამუშაოების მოცულობა საშუალოდ წლიურად უნდა იზრდებოდეს 3-5%ით | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **უნივერსიტეტის ტელე-რადიო სტუდიამ** უნდა შესძლოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, გრძელვადიან პერსპექტივაში გარკვეული ადგილი უნდა დაიჭიროს რეგიონულ საინფორმაციო სივრცეში. | | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის ტელე-რადიო სტუდიის დაფარვის ზონა საშუალო წლიურად 3-5%ით უნდა იზრდებოდეს. | | |

**მიზანი 2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული.**

**გადაჭრის გზები:**

2.1. საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა;

2.2. აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა;

2.3. ფუნდამენტური დარგების ხელშეწყობა და განვითარება;

2.4. სწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება და სრულყოფა;

2.5. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა;

2.6. ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა.

**2.1. საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება**: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს კვლევის პროცესში აკადემიური/ მოწვეული/ სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.) ჩართულობას. | + | + | + | + | + | + | + | გამოკითხულ ინტერესთა ჯგუფების მინიმუმ 60-65 % თვლის რომ საგანმანათლებლო პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის უნარ-ჩვევებს იძლევა.<br><br>სამი წლის შემდეგ ყველა პროგრამა შემუშავების, ცვლილების და შეფასების პროცესში ინტერესთა ჯგუფების | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური. | გამოკითხვის შედეგებსა და ჩართულობის მაჩვენებლებზე უნდა ფიქსირდებოდეს საშუალოდ წლიურად 3-5%-იანი ზრდა. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | გამოკითხვას ეყრდნობა | | |
| 2 | **აკადემიური მოსწრების მონიტორინგი:** სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება და კვლევების სისტემატურად ჩატარება. | + | + | + | + | + | + | + | აკადემიური მოსწრების საერთო მიღებულ სტანდარტთან შეფასების შედეგად ხდება სასწავლო კურსების შინაარსის / სწავლების მეთოდიკის გართულება ან შემსუბუქება, 4 წლის შემდეგ უნივერსიტეტის საერთო აკადემიური მოსწრება უნდა შეესაბამებოდეს მოსწრების თანამედროვე სტანდარტს. | | |
| 3 | **კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი:** კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი და ანალიზი (კურსდამთავრებულსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის დადგენა). | + | | | + | | | + | კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი აჩვენებს რომ მათი მინიმუმ 60-65% დასაქმებულია უშუალო ან მომიჯნავე სპეციალობით. | | |
| 4 | **აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება:** აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და კვლევების ჩატარება. | + | | + | | + | | + | აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებელი აჩვენებს ყოველწლიურად | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებას 3-5%-ით | | |
| 5 | **დასაქმების ბაზრის კვლევის მეთოდები**: ბაზრის კვლევის მეთოდების შესახებ სამიზნე ჯგუფებისათვის ტრენინგების ჩატარება. | + | | | + | | | + | ყოველწლიურად დასაქმების ბაზრის კვლევის მეთოდების შესახებ ტრენინგ-გავლილი აკადემიური პერსონალის რაოდენობა = 15-20 | | |
| 6 | **შრომის ბაზრის კვლევა:** სამიზნე ჯგუფებთან თანამშრომლობით ბაზრის კვლევის ჩაატარება და არსებული საჭიროებების გამოვლენა; **ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;** საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან თავსებადობის გაზრდის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა და განახლება; საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის პროფესიული) ეფექტურად განხორციელების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და განახლება. | + | | | + | | | + | ყოველ წლიურად დასაქმების გამოკვლეული ბაზრები პროგრამების მიხედვით მინიმუმ = 15<br><br>ყოველწლიურად პროფესიული პროგრამების მინიმალური ოდენობა, რომელთა მატერიალური ბაზა განახლდა = 1 | | |
| 7 | **აღმოაჩინე ახალი ბაზარი**: შრომის ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენა, რაც შეიძლება გახდეს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის ან/და ახალი საგანმანათლებლო | + | | | + | | | + | წელიწადში ახალი პროგრამის დამატების შესაძლებლობა დაფუძნებული შრომის ბაზრის კვლევაზე = 1 | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროგრამის დანერგვის საფუძველი. | | | | | | | | | | |
| 8 | **საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა:** სამიზნე ჯგუფებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო სტანდარტებთან არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრა. | + | | | + | | | + | პროგრამის შემუშავების / შეფასების პროცესში პარტნიორი უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობა წლიურად მინიმუმ 10 პროგრამაზე | | |

**2.2. აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აკადემიური პერსონალის შეფასება:** აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრა. | + | | | | | | | პერსონალის საქმიანობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებელი შეიქმნება და მიღწეულ იქნება მისი გაუმჯობესება საშუალო წლიურად 3-5%ით | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები. | პერსონალის კმაყოფილების შეფასება აჩვენებს უნივერსიტეტში მუშაობით საერთო კმაყოფილების გადიდებას 3-5%-ით წლიურად. |
| 2 | **მომსახურება**: აკადემიური/მოწვეული და სამე-ცნიერო პერსონალისათვის გაწეული მომსახურების შეფასების წესის შემუშავება და სერვისების სრულყოფა. | + | | | | | | | პერსონალისთვის სხვადასხვა ტრენინგების ფორმით (კვლევითი მეთოდები, სწავლებს მეთოდები, უცხო | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ენები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ადმინისტრაციული პერსონალისთვის საჭირო ტრენინგები და სხვ.) მოცული პერსონალის მინიმალური რაოდენობა წლიურად = 40-50 | | |
| 3 | **სამეცნიერო კომპონენტი**: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის შემუშავება. | + | | | | | | | პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ზრდის ინტეგრირებული მაჩვენებელი აჩვენებს წლიურად აქტივობი 3-5%იან გადიდებას. | | |
| 4 | **თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა**: აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის მართვის პროცესით კმაყოფილების კვლევის ჩატარებისა და შედეგების გამოყენების წესების შემუშავება. | + | | | | | | | პერსონალის გამოკითხვა აფიქსირებს მინიმუმ 60-65% დადებით დამოკიდებულებას სამუშაო პროცესის ადმინისტრირების მიმართ | | |
| 5 | **აქტიური პროფესორ-მასწავლებელი**: მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ დარგში არსებულ სიახლეებისა და მიღწევების დაუფლებას, სამეცნიე-რო სემინარების მუშაობას. | | + | + | + | + | + | + | დარგში ტექნოლოგიურ სიახლეებზე მიძღვნილი სემინარების რაოდენობა ყოველ პროგრამაზე წელიწადში მინიმუმ =1 | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | **უკეთესი ლექტორი და მკვლევარი**: სასწავლო და კვლევითი უნარების განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა და მეთოდური ტრენინგების ორგანიზება. | + | | + | | + | | + | წლის მანძილზე მინიმუმ 1 ტრენინგის ორგანიზება სწავლების მეთოდებში და მინიმუმ 1 ტრენინგის კვლევით მეთოდებში. | | |
| 7 | **ლექტორი-კონსულტანტი**: მექანიზმების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ არასააუდიტორიო აქტივობებში (სამეცნიერო/კულტურულ ღონისძიებები, კონსულტაციები) ჩართულობას. | | + | | | | | | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო კვლევების და საკონსულტაციო მუშაობის წილის გაზრდა საერთო სამუშაო დატვირთვის 20%-მდე, მაჩვენებლის 1-2%ით ზრდის ტენდენციით ყოველ 2 წელიწადში. | | |
| 8 | **პერსონალის განვითარების პოლიტიკა**: პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს:<br>• აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურებს და უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას;<br>• პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს;<br>• მკაფიოდ ჩამოყალიბებულ | + | | | | | | | პერსონალის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს რომ მინიმუმ 60% დადებითად აფასებს პერსონალის განვითარების უნივერსიტეტის პოლიტიკას. მოცემული მაჩვენებლის ზრდის 3-5%-იანი ტენდენციით წლიურად. | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წახალისების პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება მისი საქმიანობის შეფასებას;<br>• სამეცნიერო მივლინებების წესის დახვეწას;<br>• პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი აკადემიური პირის ეფექტურ ინტეგრაციას სამუშაო პროცესში. | | | | | | | | | | |

2.3. ფუნდამენტური დარგების ხელშეწყობა და განვითარება:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **განვითარების პერსპექტივა:** ფუნდამენტურ დარგებში სადოქტორო და პოსტსადოქტორო პროგრამების მხარდამჭერი მექანიზმების შექმნა. | + | + | | | | | | ყოველწლიურად ფუნდამენტურ მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთა მინიმალური რაოდენობა = 4<br><br>ყოველწლიურად ფუნდამენტური მიმართულებით სტუდენტების და პერსონალის ჩართულობით შესრულებული შეკვეთა გარე დაინტერესებული | ადმინისტრაცია<br><br>შესაბამისი ფაკულტეტები | კვლევები უნდა აჩვენებდეს ფუნდამენტურ დარგებზე მოთხოვნის ყოველწლიურ ზრდას 1-3%-ით |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | პირებისთვის = 2 | | |
| 2 | **თანამედროვე ინფრასტრუქტურა:** ფუნდამენტურ დარგებში ინოვაციური კვლევების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა. | | + | + | + | + | + | + | კვლევებზე მოთხოვნის დადგენის საფუძველზე ყოველწლიურად მოხდება ფუნდამენტურ დარგებში ლაბორატორიების განვითარება. | | |
| 3 | **ფუნდამენტური მეცნიერებების პოპულარიზაცია**: საზოგადოების გათვითცნობიერება ფუნდამენტური დარგების მნიშვნელობაში და მიზნობრივი ჯგუფების წახალისება. | + | + | + | + | + | + | + | ტექნოპარკის პროექტის ჩარჩოებში უნივერსიტეტი ყოველწლიურად საკონკურსო საფუძველზე ჩამოაყალიბებს სტუდენტთა მინიმუმ 4 ინტერდისციპლინარ ულ ჯგუფს, მ.შ. ფუნდამენტური სპეციალობებიდან.<br><br>ყოველწლიურად გამოცხადდება შიდა გრანტები მინიმუმ 20 ათასი ლარის ოდენობით, ფუნდამენტური დარგის მიმართულებით. | | |

## 2.4. სწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება და სრულყოფა:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ეფექტური მეთოდები:** სასწავლო პროცესის მონიტორინგის გამოყენება სწავლა-სწავლების მეთოდების სრულყოფისა და განვითარებისათვის. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი სწავლების და დასწავლის მეთოდის მინიმუმ საუკეთესო გამოცდილება რომელიც ტრენინგის დაგეგმვის და ჩატარების საფუძველი გახდა = 2 | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>ფაკულტეტები<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები. | გამოკითხვები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის შედეგებით კმაყოფილია გამოკითხულ სტუდენტთა და პერსონალის მინიმუმ 60%, მაჩვენებლის 3-5%იანი გადიდებით ყოველ წლიურად. |
| 2 | **შედეგზე ორიენტირებული სწავლება:** სწავლის შედეგზე ორიენტირებული პროგრამებისა და სასწავლო კურსების შექმნა; სილაბუსების სრულყოფა-განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება. | + | + | + | + | + | + | + | „სწავლება კვლევით“ მეთოდზე გადაყვანილი კურსების მინიმალური რაოდენობა კურსების საერთო რაოდენობიდან = 5%<br><br>პრაქტიკის კომპონენტის ჩართულობით არსებული კურსების რაოდენობა კურსების საერთო რაოდენობიდან = 5%<br><br>კვლევის კომპონენტის | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ჩართულობით არსებული კურსების რაოდენობა კურსების საერთო რაოდენობიდან = 5% | | |
| 3 | **თანამშრომლობა:** თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა, რომელებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სწავლების ეფექტურობის გაზრდასა და გამოცდილების გაზიარებას. | + | + | + | + | + | + | + | ერთობლივად ლექციების ჩატარების, ასევე ერთ მოდულში სხვადასხვა პედაგოგების მონაწილეობით საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა პროგრამების საერთო რაოდენობიდან = 5%<br><br>გაცვლით პროგრამებში გაკეთებული განაცხადების მინიმალური წლიური რაოდენობა = 30-35 | | |

2.5. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შინაარსობრივად განახლებული პროგრამა**: სამეცნიერო სიახლეებისა და სამეცნიერო მიღწევების საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვა. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად გროვდება ინფორმაცია დარგში უახლესი ლიტერატურის | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | საგანმანათლებლო პროგრამების განახლების და ინტერესთა ჯგუფების გამოკითხვის შედეგები პროგრამის მაჩვენებელთა |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | შესახებ და ხდება საბიბლიოთეკო ფონდის განახლება. | ადმინისტრაცია<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები. | 3-5%იან ზრდას აჩვენებს. |
| 2 | **მეთოდურად განახლებული პროგრამა:** თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროში არსებული სწავლა/სწავლების მეთოდების საგანმანათლებლო პროგრამებში დანერგვა. | + | + | + | + | + | + | + | წლის მანძილზე უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის მინიმალური რაოდენობა = 2 | | |
| 3 | **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება:** საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლდება პროგრამის შემოსავლების მინიმუმ 10% ღირებულებით. | | |
| 4 | **შედეგზე ორიენტირებული პროგრამა:** საგანმანათლებლო პროგრამების დასაქმების ბაზართან თავსებადობის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა. | + | + | + | + | + | + | + | პრაქტიკის გავლისას სტუდენტთა და ორგანიზაციათა, ხოლო თეზისების დაცვისას დამსწრე ინდუსტრიის წარმომადგენელთა გამოკითხვა აჩვენებს მინიმუმ 60-65 %-ის კმაყოფილებას სტუდენტების უნარ-ჩვევებით. | | |
| 5 | **პრიორიტეტული პროგრამების ხელშეწყობა: უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება** | + | + | + | + | + | + | + | ტურიზმის განვითარება მოხდება ინგლისურენოვანი სწავლების, ასევე | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **მიექცევა ტურიზმის, ზღვის ბიოლოგიისა და აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას,** შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და რეგულარულად განახლებას. | | | | | | | | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით. | | |

2.6. ავტორიზაციისაა და პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **წარმატებული ავტორიზაცია:** უნივერსიტეტმა წარმატებით უნდა გაიაროს ავტორიზაციის პროცესი. | + | | | | | | | ავტორიზაციის პროცესის წარმატებით გავლა. | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები. | ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა კმაყოფილების ხარისხი უნივერსიტეტის საერთო მდგომარეობით (შეფასებული გამოკითხვის გამოყენებით) ერთი აკრედიტაცია / ავტორიზაციიდან მეორემდე უნდა უმჯობესდებოდეს მინიმუ 10%-ით. |
| 2 | **წარმატებული აკრედიტაცია:** უნივერსიტეტმა წარმატებით უნდა გაიაროს პროგრამული აკრედიტაცია. | + | + | + | + | + | | | უნივერსიტეტის ყველა პროგრამამ წარმატებით უნდა გაიაროს აკრედიტაცია, პირობითად მიცემული აკრედიტაციის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-12-ს. | | |
| 3 | **გარე შეფასების ამოქმედება:** აკრედიტაციისთვის წარდგენილმა ყველა პროგრამამ უნდა გაიაროს გარე შეფასება. | + | + | + | + | + | | | აბსოლუტურად ყველა საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს გარე შეფასება. | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **ავტორიზაციის და აკრედიტაციის ტრენინგი:** უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ექსპერტების მოწვევა და ტრენინგი შესაბამისი პირებისთვის, ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. | + | + | + | + | + | | | ყოველ წლიურად აკრედიტაციის სტანდარტების ტრენინგზე დამსწრეთა მინიმალური რაოდენობა = 50<br><br>ავტორიზაციის ტრენინგების რაოდენობა სტრატეგიის დანერგვის პერიოდში = 2 | | |

**მიზანი 3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის.**

**გადაჭრის გზები:**

3.1. უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება;
3.2. სამეცნიერო მუშაობის საზღვრების გაფართოება;
3.3. უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო დისკუსიებში, დისკუსიების ორგანიზება;
3.4. უნივერსიტეტის კვლევითი სიმძლავრეების პერმანენტული ზრდა.

3.1. უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შიდა საუნივერსიტეტო გრანტი:** შიდა გრანტის გაცემის წესის სრულყოფა, რაც უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს გრანტის შერჩევის პროცედურას, მოცულობას და დაფინანსებული კვლევების შეფასების მექანიზმებს; საგრანტო თანხის ყოველწლიური ზრდა. | + | + | + | + | + | + | + | შიდა გრანტზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები ყოველწლიურად მინიმუმ 10-15%-ით გაიზრდება.<br><br>ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობის წილი გრანტზე განაცხადში მონაწილეთა მთლიან რაოდენობაში მინიმუმ 30%. | აკადემიური საბჭო<br><br>გამომცემლობა<br><br>ფაკულტეტები<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის | უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარე შეფასება აჩვენებს დეპარტამენტების მიხედვით მინიმუმ 60% მაღალ შეფასებას, საშუალო წლიური 3-5%იანი ზრდის ტემპით. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **მაღალრეიტინგული ჟურნალი:** უნივერსიტეტი ჩამოაყალიბებს ავტორიტეტულ სარედაქციო კოლეგიას უცხოელ ექსპერტთა ჩართვით და უზრუნველყოფს რეცენზირებადი ჟურნალის გამოცემას მიმართულებების მიხედვით. | | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტი აირჩევს ჟურნალს ერთი მიმართულებით და თავის კვლევით, პარტნიორობის და პრომოუშენის რესურსებს მიმათავს იმაზე, რომ 5 წლის განმავლობაში იგი საერთაშორისო მასშტაბის გახადოს. შემდეგ მოხდება სხვა მიმართულებაზე გადართვა და ა.შ. | სამსახური. | |
| 3 | **აქტუალური და მნიშვნელოვანი სამეცნიერო თემატიკა:** სამეცნიერო კვლევის თემატიკა ჩამოყალიბდება უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევებს; ასევე ფართო სპექტრის ფიტოპათოლოგიური კვლევების განხორციელებას. | | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად სამეცნიერო თემატიკა რომელზეც პერსონალი მუშაობს მხარდაჭერილია გარე ორგანიზაციების მიერ და ასახავს აქტუალურ საზოგადოებრივ საჭიროებას - ასეთი თემატიკის მინიმალური რაოდენობა საერთო თემატიკიდან = 60%, საშუალო წლიური 3-5%-იანი ზრდის ტემპით. | | |
| 4 | **კვლევაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება:** კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან საბაკლავრო, სამაგისტრო, | + | + | + | + | + | + | + | სასწავლო პროგრამების საათებში კვლევითი ინსტიტუტების და ლაბორატორიების | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სადოქტორო პროგრამებისა შემუშა-ვებასა და და კვლევითი კომპონენტის შესრულებაში, სილაბუსების შედგენასა და განხორციელებაში; თავის მხრივ, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ჩაერთვება კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მუშაობაში. | | | | | | | | ბაზაზე შესრულებული საათების მინიმალური წილი = 10-15 %, საშუალო წლიური 1-3%იანი ზრდის ტემპით.<br><br>კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე სტუდენტების და აკად. პერსონალის მონაწილეობით დამუშავებული თემების მინიმალური რაოდენობა თემების საერთო რაოდენობიდან = 25%, საშუალო წლიური 1-3%-იანი ზრდის ტემპით. | | |
| **5** | **ახალგაზრდა მეცნიერთა** მოზიდვა და მხარდაჭერა სხვადასხვა პროექტის განხორციელების გზით. | + | + | + | + | + | + | + | შიდა გრანტში გამოყოფილი იქნება ქვეგრანტი სპეციალურად ახალგაზრდა მეცნიერთათვის. საერთო საგრანტო დაფინანსების 20-25%-ის ოდენობით. | | |

**3.2. სამეცნიერო მუშაობის საზღვრების გაფართოება:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **კავშირი ბიზნესთან:** უნივერსიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს ბიზნესსექტორთან, მათთვის საინტერესო სამეცნიერო კვლევების თემატიკის განსაზღვრით, ასევე ხელს შეუწყობს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაციას. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო საათების (როგორც კვლევითი ინსტიტუტებში, ისე აკადემიური პერსონალის მიერ, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში) მინიმუმ 10% ეყრდნობა ბიზნეს-სექტორის მხრიდან გამოხატულ კონკრეტულ პრობლემატიკას, ხოლო მინიმუმ 1% - კონკრეტულ შეკვეთებს. | ადმინისტრაცია<br><br>სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახური<br><br>კვლევითი ინსტიტუტები<br><br>ფაკულტეტები | გარე ინტერესთა ჯგუფების გამოკითხვა / ინტერვიუ (ბიზნეს-სექტორი, მასმედია, პარტნიორი უნივერსიტეტები, სამინისტროები და ა.შ.) აჩვენებს გარე სამეცნიერო მუშაობაში უნივერსიტეტის ჩართულობის გადიდებას ყოველწლიურად 3-5%-ით. |
| 2 | **კავშირი სხვა სამეცნიერო ცენტრებთან:** უნივერსიტეტი წაახალისებს სხვა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებთან ერთობლივ სამეცნიერო მუშაობას, კონსორციუმებს და ა.შ., როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. | + | + | + | + | + | + | + | ყოველ დეპარტამენტში წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი აკადემიური პირი იქნება ჩართული ერთობლივ კვლევით სამუშაოში სხვა უნივერსიტეტების / | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებთან ერთად<br><br>წლიურად ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების მინიმალური ოდენობა = 2<br><br>ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მინიმუმ ერთი ერთობლივი პროგრამა დამუშავდება და წარდგენილი იქნება აკრედიტაციაზე. | | |
| **3** | **სამუშაო ჯგუფების ორგანიზება**: გულისხმობს უნივერსიტეტის მკვლევართა, აკადემიური პირებისა და სტუდენტების ჩართულობას ერთიანი კვლევითი პროექტების ფარგლებში, რაც მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევითი მუშაობის განხორციელების წესებში შესაბამისი ნორმატიული ცვლილებების შეტანით. | + | + | + | + | + | + | + | როგორც შიდა გრანტის, ისე ჩვეულებრივი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების განხორციელებისას ჩართული სტუდენტების მინიმალური წილი კვლევით დაკავებულ პირთა საერთო ოდენობაში = 15% | | |
| **4** | **გარე გრანტები:** უნივერსიტეტი მუდმივად მიაწოდებს ინფორმაციას აკადემიურ, სამეცნ- | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტი თავის ელექტრონულ პროგრამას / | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | იერო პერსონალს და მოწვეულ მასწავლებლებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების, საგრანტო კონკურსების შესახებ, დაეხმარება საგრანტო პროექტების შედგენასა და მართვაში. უნივერსიტეტი იზრუნებს პერსონალის კვლევითი მუშაობის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიერ ტრენინგების, მასტერკლასების, ვორქშოპების ჩატარების გზით. | | | | | | | | ვებგვერდს გამოიყენებს, როგორც მედიატორს, სხვადასხვა კონკურესების / გრანტების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ამ ინფორმაციის ნახვის მინიმალური წლიური რაოდენობა = 10000 ნახვა | | |

3.3. უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობა სამეცნიერო დისკუსიებში, დისკუსიების ორგანიზება:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **კონფერენციებში მონაწილეობა**: უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური და კვლევითი პერსონალის, ასევე სტუდენტების მონაწილეობას სხვადასხვა სახის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. | + | + | + | + | + | + | + | ადგილობრივ / საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის სტუდენტების და პერსონალის ჩართულობის მაჩვენებლი ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს 3-5%-ით | ფაკულტეტები<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. | უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობის დონე საჯარო დისკუსიებში როგორც უნივერსიტეტის მასშტაბით ისე მის გარეთ უნდა იზრდებოდეს საშუალო წლიურად 3-5%ით. |
| 2 | **კონფერენციების ორგანიზება:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში ჩატარებული | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას. | | | | | | | | ადგილობრივი / საერთაშორისო კონფერენციების მინიმალური რაოდენობა = 6 (ფაკულტეტზე მინიმუმ 1) | | |
| **3** | **საჯარო ლექციები**: უნივერსიტეტი მოიწვევს ცნობილ მეცნიერებს აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციების წასაკითხად და სამეცნიერო დისკუსიისთვის. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში უნივერსიტეტში საჯარო ლექციებით მოწვეული ცნობილი მეცნიერების მინიმალური რაოდენობა = 4 | | |
| **4** | **ბსუ-ს სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაცია:** სამეცნიერო მუშაობის შედეგების პრეზენტაცია, სამეცნიერო გამოფენების ორგანიზება და აქტიური მონაწილეობა; ჩვენი მკვლევრების მიერ საჯარო ლექციების წაკითხვა გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. | + | + | + | + | + | + | + | მას-მედიაში უნივერსიტეტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაციის მინიმალური წლიური მოხსენიება =4<br><br>უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ საკუთარი კვლევის შედეგების გარე აუდიტორიასთან დაფიქსირების წლიური მინიმალური რაოდენობა = 10 | | |

3.4. უნივერსიტეტის კვლევითი სიმძლავრეების პერმანენტული ზრდა:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება:** უნივერსიტეტი გამუდმებით განავითარებს როგორც კვლევითი ინსტიტუტების, ისე სასწავლო დეპარტამენტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც მოიცავს ხელსაწყოებისა და დანადგარების, მასალების, ლიტერატურის, ინსტრუმენტებისა და ინვენტარის შეძენას. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად 3-5%-ით იზრდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების რაოდენობა. | ადმინისტრაცია<br>დარგობრივი დეპარტამენტები<br>კვლევითი ინსტიტუტები<br>აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები<br>ფაკულტეტები<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br>სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახური. | უნივერსიტეტის ბაზაზე გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების (შესრულებული და შერულების პროცესში არსებული თემები) რაოდენობა საშუალოდ წლიურად 3-5%ით უნდა იზრდებოდეს. |
| 2 | **კვალიფიკაციის ამაღლება:** უნივერსიტეტი გამუდმებით იზრუნებს აკადემიური და კვლევითი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას სხვადასხვა სახის ტრენინგებში, ასევე ტრენინგების ორგანიზებას უნივერსიტეტში. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა გაიზრდება 3-5%-ით. | | |
| 3 | **გამოგონებათა კლუბი / ტექნო-პარკი:** უნივერსიტეტი შეეცდება მოძებნოს მეცნიერული ნიჭის მქონე ადამიანები სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში, რისთვისაც უზრუნველყოფს გამომგონებელთა კლუბისა და გამოგონებათა კონკურსის ორგანიზებას საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) თანამშრომლობით | | + | + | + | + | + | + | ტექნო-პარკის ფარგლებში ყოველწლიურად მინიმუმ 10 სკოლის მოსწავლე ჩართული იქნება სხვადასხვა საუნივერსიტეტო კვლევით საქმიანობაში. | | |

**მიზანი 4. ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს.**

**გადაჭრის გზები:**

4.1. გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა;
4.2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
4.3. უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა;
4.4. უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა.

4.1. გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **პროფესორთა გაცვლა:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პირების მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებში; მასპინძლობას გაუწევს უცხოელ ლექტორებს, როგორც დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების, ისე საკუთრივ უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმებების ფარგლებში. | + | + | + | + | + | + | + | ფაკულტეტებისთვის განაწილებული სამივლინებო თანხების რაოდენობა წლიურად გაიზრდება 3-5%-ით.<br><br>მიღწეულ იქნება ყოველ დეპარტამენტში წლიურად მინიმუმ 1 უცხოელი ლექტორის მასპინძლობა. | სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახური<br><br>ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, | გაცვლით პროგრამებში ჩართულობის და გამარჯვების მაჩვენებლები საშუალო წლიურად მინიმუმ 3-5%-ით უნდა იზრდებოდეს.<br><br>საერთაშორისო აქტივობაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პირების რაოდენობა საშუალო-წლიურად 3-5%-ით უნდა იზრდებოდეს. |
| 2 | **მკვლევართა გაცვლა:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს მეცნიერ-თანამშრომელთა მივლინებას კვლევის ჩასატარებლად პარტნიორ | + | + | + | + | + | + | + | მიღწეულ იქნება წლის განმავლობაში დეპარტამენტიდან მინიმუმ 1 პირის მივლინება საზღვარგარეთ | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში; მასპინძლობას გაუწევს უცხოელ მკვლევრებს, როგორც დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, ისე საკუთრივ უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმებების საფუძველზე. | | | | | | | | კვლევითი-სამუშაოს ჩატარებასთან / მონაწილეობასთან დაკავშირებული მიზნებით.<br><br>მიღწეულ იქნება ყოველ დეპარტამენტში წლიურად მინიმუმ 1 უცხოელი პირის მასპინძლობა კვლევითი-სამუშაოს ჩატარებასთან / მონაწილეობასთან დაკავშირებული მიზნებით. | | |
| 3 | **სტუდენტების გაცვლა:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს, კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალე პროცესის პირობებში შერჩეული სტუდენტების მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებში, საგანმანათლებლო კომპონენტის ასათვისებლად; მასპინძლობას გაუწევს უცხოელ სტუდენტებს, როგორც დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების, ისე საკუთრივ უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმებების ფარგლებში. | + | + | + | + | + | + | + | მიღწეული იქნება ფაკულტეტზე მინიმუმ ერთი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები საზღვარგარეთ გაემგზავრებიან რაიმე სასწავლო კომპონენტის ათვისების მიზნით. | | |
| 4 | **ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლა**: გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით, | | + | + | + | + | + | + | მიღწეულ იქნება წლის მანძილზე ადმინისტრაციის | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელდება ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში. | | | | | | | | წარმომადგენლის გამგზავრება საზღვარგარეთ გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით. | | |
| 5 | **საკონკურსო პროექტების** გამართულად შედგენისა და განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ექსპერტების მოწვევას და ტრენინგების ჩატარებას. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში ჩატარდება მინიმუმ 1 ტრენინგი, რომელიც საკონკურსოდ განაცხადის წარდგენის დეტალებზე იქნება მიმართული. | | |

4.2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები**: უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებას. | | + | + | + | + | + | + | ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მომზადდება და წარდგება აკრედიტაციაზე მინიმუმ ერთი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა | ფაკულტეტები<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახური. | ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, შეფასებული საერთაშორისო ურთიერთობებში / უცხო ენაზე სწავლებაში ჩართული პირების რაოდენობით, ყოველწლიურად 3-5%-ით იზრდება. |
| 2 | **საგანმანათლებლო პროგრამები უცხო ენებზე**: უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებას. | + | + | + | + | + | + | + | მომზადდება და წარდგება საკრედიტაციოდ მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა უცხო | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ენაზე. | | |
| 3 | **უცხოენოვანი სასწავლო კურსები**: ეტაპობრივად გაიზრდება უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენაზე მომზადებული სასწავლო კურსების რაოდენობა. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად უცხო ენაზე განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების და კურსების რაოდენობა 3-5%-ით გაიზრდება. | | |
| 4 | **გაცვლითი კომპონენტი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში:** უნივერსიტეტი წაახალისებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტის განხორციელებას ჩვენი სტუდენტებისთვის უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის - ჩვენს უნივერსიტეტში. | | + | + | + | + | + | + | მიღწეულ იქნება უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტში კვლევითი კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების მინიმუმ 20%-ზე. | | |

**4.3. უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **საბიბლიოთეკო ქსელებსა და კონსორციუმებში** გაწევრიანება, უცხოენოვან სამეცნიერო ნაშრომთა ბაზებზე წვდომის მიზნით | + | | | + | | | + | ახალ საბიბლიოთეკო ქსელებში / კონსორციუმებში გაერთიანება | ადმინისტრაცია<br><br>ბიბლიოთეკა<br>დარგობრივი დეპარტამენტები | სილაბუსების ანალიზის შედეგად დგინდება რომ მასში უცხოენოვანი ლიტერატურის რაოდენობა იზრდება 3-5%-ით. |
| 2 | **ბიბლიოთეკის გამდიდრება უცხოენოვანი ლიტერატურით:** | + | + | + | + | + | + | + | ბიბლიოთეკის უცხოენოვანი ფონდი | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უნივერსიტეტი გაზრდის ბიბლიოთეკაში უცხოენოვანი აქტუალური, თანამედროვე სახელმძღვანელოების, გამოკვლევებისა (ნაშრომები, მონოგრაფიები) და სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობას. | | | | | | | | გაიზრდება მინიმუმ 1-3%-ით | კვლევითი ინსტიტუტები. | ბიბლიოთეკაში და ბიბლიოთეკის მეშვეობით უცხოენოვანი ლიტერატურით სარგებლობის საშუალო წლიური რაოდენობა იზრდება მინიმუმ 3-5%-ით. |
| 3 | **უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხო ენებიდან თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების თარგმნას. | | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი სახელ-მძღვანელო გად-აითარგმნება ქართულ ენაზე. | | |

**4.4. უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მემორანდუმების განახლება:** უნივერსიტეტი გააქტიურებს თანამშრომლობის მემორანდუმებს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და გააფორმებს ახალ ხელშეკრულებებს. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად გაფორმდება მინიმუმ 4 ახალი მემორანდუმი, ხოლო აქტივობის სტატისტიკა ყოველ მემორანდუმზე საშუალო წლიურად 3-5%-ით გაიზრდება | სტრატეგიული განვითარებიისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახური ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები | ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, შეფასებული საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართული პირების რაოდენობით, ყოველწლიურად 3-5%-ით იზრდება. |
| 2 | **დისტანციური სწავლება:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს დისტანციური სწავლების დანერგვასა და განვითარებას. | | | + | + | + | + | + | დისტანციური სწავლების ელემენტი მიღწეულ იქნება მინიმუმ ერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ყოველ | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ფაკულტეტზე | კვლევითი | |
| 3 | **საერთაშორისო ფორუმები:** უნივერსიტეტი გამართავს საერთაშორისო კონფერენციებს სწავლა-სწავლებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში; ხელს შეუწყობს კონფერენციებში სტუდენტების, მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას. | | + | + | + | + | + | + | წელიწადში ჩატარდება მინიმუმ 1 საერ-თაშორისო კონფერენ-ცია<br><br>აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების საერთაშორისო ფორუმებში მონა-წილეობა წლიურად იზრდება 3- 5%-ით. | ინსტიტუტები | |
| 4 | **საზაფხულო სკოლები:** უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს საზაფხულო სკოლებს, ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას პარტნიორ უნივერსიტეტებში მოწყობილ საზაფხულო სკოლებში. | + | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად ჩატარდება მინიმუმ 2 საზაფხულო სკოლა. | | |

**მიზანი 5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის მხარდაჭერას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.**

**გადაჭრის გზები:**

5.1. კარიერული განვითარების ცენტრის ამოქმედება;

5.2.საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, მეცნიერი და ექსპერტი;

5.3. დამსაქმებლებთან ორმხრივად სასარგებლო, რეალური და მოქმედი თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება;

5.4. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესების მიზნით, ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელება.

**5.1. კარიერული განვითარების ცენტრის ამოქმედება:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სტუდენტების ტრენინგი:** უნივერსიტეტი შექმნის და განახორციელებს ტრენინგ-კურსებს, რომლებიც სტუდენტებს დამსაქმებლებთან ურთიერთობასა და სამსახურის მოძიებაში დაეხმარება: განაცხადების შევსება, სამოტივაციო წერილების დაწერა, გასაუბრების წარმატებით გავლა და ა.შ. | | + | + | + | + | + | + | წელიწადში მინიმუმ ერთი ტრენინგი ჩატარდება სტუდენტების შრომის ბაზართა ადაპტირებასთან დაკავშირებით, მონაწილეთა მინიმალური ოდენობა = 50 სტუდენტი | სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური<br><br>საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური<br><br>ფაკულტეტები. | პროფესიის მიხედვით სტუდენტების დასაქმების მაჩ-ვენებელი მიაღწევს საერთო დასაქმების მინიმუმ 60%-ს. |
| 2 | **სტაჟირების ბაზა:** უნივერსიტეტი | + | + | + | + | + | + | + | ორგანიზაციების | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შექმნის მუდმივად განახლებად ბაზას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს შეარჩიონ შესაფერისი კომპანია სტაჟირებისათვის. | | | | | | | | რაოდენობა, სადაც სტაჟირება არის შესაძლებელი, საშუალო წლიურად 3-5%-ით გაიზრდება | | |
| **3** | **ვაკანსიების ბაზა:** უნივერსიტეტი შექმნის მუდმივად განახლებად ბაზას, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, რაც სტუდენტებს სამუშაოს მოძებნის დამატებით შესაძლებლობებს მისცემს. | | + | + | + | + | + | + | ვაკანსიების ბაზის მეშვეობით დასაქმებას შეძლებს საერთო მომხმარებელთა მინიმუმ 20%, ამ მაჩვენებლის 3-5%იანი ზრდით საშუალო წლიურად. | | |
| **4** | **კურსდამთავრებულებთან კონტაქტი:** კარიერული განვითარების ცენტრი პერმანენტულად დააკვირდება კურსდამთავრებულთა კარიერის განვითარებას და დასკვნებს გამოიტანს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურობის, კურსდამთავრებულის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების (და ა.შ.) შესახებ. | + | + | + | + | + | + | + | მოხდება კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვა. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებათა მინიმუმ 20% დაეყრდნობა კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს. | | |

**5.2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, მეცნიერი და ექსპერტი:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შემუშავების პროცესი:** ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა გამოკითხვების, კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო შეხვედრების, ინდივიდუალური ინტერვიუებისა და სპეციალურ კონფერენციებზე დასწრების ფორმით. | + | + | + | + | + | + | + | პროგრამაზე მომუშავე ჯგუფების შეხვედრების ოქმების ანალიზი აჩვენებს ინტერესთა ჯგუფების აქტივობის გადიდებას საშუალო წლიურად 3-5%ით. | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>ფაკულტეტები<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის საერთო საუნივერსიტეტო მაჩვენებელი საშუალო წლიურად 3-5%ით უნდა იზრდებოდეს. |
| 2 | **განხორციელების პროცესი**: ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა ფაკულტეტის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის, გამოკითხვების, მასტერკლასების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის, კვლევითი პროექტების, კონსულტირების, კურსდამთავრებულთა და ბიზნესმენთა სტუდენტებთან შეხვედრის ფორმით. | + | + | + | + | + | + | + | ინტერესთა ჯგუფების ფაკულტეტის ცხოვრებაში (აკადემიური, ადმინისტრაციული და პროგრამის გარეთ აქტივობები) ჩართულობის მაჩვენებელი იზრდება საშუალო წლიურად 3-5%ით. | | |
| 3 | **შეფასების პროცესი:** ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა კურიკულუმის შეფასების პროცესში გამოკითხვების, კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფების სამუშაო შეხვედრების, ინდივიდუალური ინტერვიუებისა და სპეციალურ კონფერენციებზე დასწრების ფორმით. | + | + | + | + | + | + | + | ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღწეული იქნება ინტერესთა ჯგუფების ყოველწლიური გამოკითხვა. | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **განვითარების პროცესი:** ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა კურიკულუმის განვითარებისა და ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. | + | + | + | + | + | + | + | საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებათა მინიმუმ 60% დაეყრდნობა ინტერესთა ჯგუფების მოსაზრებებს. | | |

5.3. დამსაქმებლებთან ორმხრივად სასარგებლო, რეალური და მოქმედი თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მასტერკლასი:** უნივერსიტეტი მოიწვევს წარმატებულ ბიზნესმენებს და სხვა სფეროს ლიდერებს, სტუდენტებთან გასაუბრების, საკუთარი კარიერის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. | + | + | + | + | + | + | + | მასტერკლასების პროგრამა დანერგილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამათა მინიმუმ 20%-ზე, საშუალო წლიურად 3-5%იანი ზრდის ტემპით. | სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური<br><br>ფაკულტეტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები<br><br>სტუდენტური ორგანიზაციები | შრომის ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ დამსაქმებლები სულ უფრო მეტად ენდობიან უნივერსიტეტს (როგორც კურსდამთავრებულთა, ისე აკადემიური პერსონალის მხრივ), ყოველწლიურად კმაყოფილებას გამოხატავს 3-5%ით მეტი დამსაქმებელი. |
| 2 | **სტაჟირება პრაქტიკის ნაცვლად:** უნივერსიტეტი, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, შეეცდება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა თანდათანობით სტაჟირებით ჩაანაცვლოს. | + | + | + | + | + | + | + | სტაჟირების პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად 3-5%-ით გაიზრდება. | | |
| 3 | **პროდუქტების განვითარება:** უნივერსიტეტი შესთავაზებს საქმიან წრეებს მათი პროდუქტების განვითარებას სტუდენტების | + | + | + | + | + | + | + | პროდუქტების რაოდეობა, რომელთა განვითარებაზე მუშაობენ | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პრაქტიკის/სტაჟირების, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების განხორციელების ფარგლებში. | | | | | | | | სტუდენტები, საშუალო წლიურად 3-5%ით იზრდება. | | |
| 4 | **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები:** უნივერსიტეტი შექმნის და შესთავაზებს დამსაქმებლებს მოკლევადიან ფასიან კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებული თანამშრომელების კვალიფიკაციის ამაღლებას. | + | + | + | + | + | + | + | კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომხმარებელთა რაოდენობა საშუალო წლიურად გაიზრდება 3-5%-ით. | | |

**5.4. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესების მიზნით, ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელება:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ბიზნესიდეების კონკურსი:** უნივერსიტეტი დამსაქმებლის მხარდაჭერით ჩაატარებს ბიზნესიდეებისა და სტარტაპების კონკურსს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიმუშაონ ბიზნესიდეები, ისარგებლონ კონსულტაციებით, მოძებნონ ინვესტორები და ისარგებლონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, ბიზნესის განვითარების პირველ ეტაპზე. | | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად - ბიზნეს და კვლევითი იდეების კონკურსში მონაწილეთა რაოდე-ნობა ყოველწლიურად გაიზრდება 3-5%-ით. | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები<br><br>კვლევითი | სტუდენტების და კურსდამთავრებულთა სწავლის პროცესით კმაყოფილების შეფასება წლიდან წლამდე აჩვენებს მინიმუმ 3-5%იან ზრდას. |
| 2 | **კვლევითი იდეების კონკურსი:** უნივერსიტეტი, დამსაქმებლის | | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად - ბიზნეს და კვლევითი | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მხარდაჭერითა და კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით, ჩაატარებს სტუდენტური კვლევითი იდეების კონკურსს, რომლის მიზანი ორიგინალური კვლევითი იდეების შემუშავება და მათი პროტოტიპირება იქნება. | | | | | | | | იდეების კონკურსში მონაწილეთა რაოდე-ნობა ყოველწლიურად გაიზრდება 3-5%-ით. | ინსტიტუტები | |
| 3 | **ისწავლე მუშაობის პროცესში:** უნივერსიტეტი შეეცდება დამსაქმებლის, კვლევითი ინსტიტუტის და დარგობრივი დეპარტამენტის მონაწილეობით განახორციელოს ექსპერიმენტული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სწავლების პროცესი დაიგეგმება წარმოების პროცესში დასაქმებული სტუდენტის მოთხოვნების შესაბამისად. | | + | + | + | + | + | + | ხუთ წელიწადში ერთხელ ამოქმედდება 1 პროგრამა, რომელიც მუშაობით სწავლის ექსპერიმენტს დაეყრდნობა. | | |
| 4 | **ისწავლე კონსულტირების პროცესში:** უნივერსიტეტი შეეცდება გამოიყენოს იურიდიული კლინიკის ბაზაზე მიღებული გამოცდილება და დამსაქმებლებთან და კვლევით ინსტიტუტებთან ერთად განახორციელოს ექსპერიმენტული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სწავლების პროცესი დაიგეგმება კონსულტირების პროცესში ჩართული სტუდენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე. | | + | + | + | + | + | + | ხუთ წელიწადში ერთხელ ამოქმედდება 1 პროგრამა, რომელიც კონსულტირებით სწავლებას დაეყრდნობა. | | |

**მიზანი 6. უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორები, როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში.**

**გადაჭრის გზები:**

6.1. სტრატეგიული პარტნიორები განათლების სფეროში;

6.2. სტრატეგიული პარტნიორები საჯარო სფეროში;

6.3. სტრატეგიული პარტნიორები საქმიან სფეროში;

6.4. უნივერსიტეტის მეგობრები საზოგადოებაში.

6.1. სტრატეგიული პარტნიორები განათლების სფეროში:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **პარტნიორი უნივერსიტეტი:** უნივერსიტეტი შეიძენს პარტნიორ უნივერსიტეტს, რომელთანაც განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობები ექნება, როგორც საქმიან, ისე არაფორმალურ ვითარებაში. | | + | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი უნივერსიტეტი | ადმინისტაცია<br>ფაკულტეტები<br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური<br>კვლევითი ინსტიტუტები. | პარტნიორ დაწესებულებებთან სხვადასხვა სახის საქმიან ურთიერთობებში ჩართული პირების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 3-5%-ით. |
| 2 | **პარტნიორი კვლევითი ინსტიტუტი:** უნივერსიტეტს განსაკუთრებულად მჭიდრო საქმიანი და არაფორმალური ურთიერთობები ექნება რომელიმე კვლევით ინსტიტუტთან. | | | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი კვლევითი ინსტიტუტი | | |
| 3 | **პარტნიორი სკოლა:** უნივერსიტეტი მეურვეობას გაუწევს სკოლას, მასთან ერთად განახორციელებს პროექტებს, პრაქტიკას, კონფერენციებს, სხვა პროგრამებს. | | | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი სკოლა | | |
| 4 | **პარტნიორი ბავშვთა ბაღი:** | | | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უნივერსიტეტი მეურვეობას გაუწევს ბავშვთა ბაღს და ხელს შეუწყობს მის განვითარებას. | | | | | | | | საბავშვო ბაღი | | |

6.2. სტრატეგიული პარტნიორები საჯარო სფეროში:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **პარტნიორობა განათლების პოლიტიკის სფეროში:** უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობა ექნება განათლების სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სტრუქტურებთან. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტი ჩამოაყალიბებს 3 სტრატეგიულ პარტნიორობას: ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის დონეზე | ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური<br><br>სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. | სტრატეგიული პარტნიორობა საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს, საკუთარი წვლილი შეიტანოს განათლების და დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის დონეზე.<br><br>პარტნიორ დაწესებულებებთან სხვადასხვა სახის საქმიან ურთიერთობებში ჩართული პირების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 3-5%-ით. |
| 2 | **პარტნიორობა დასაქმებისთვის:** უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობა ექნება დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სტრუქტურებთან. | | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტი ჩამოაყალიბებს 2 სტრატეგიულ პარტნიორობას: რეგიონის და ქვეყნის დონეზე | | |

ამოცანა 6.3. სტრატეგიული პარტნიორები საქმიან სფეროში:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **საწარმო**: უნივერსიტეტს ეყოლება მსხვილი ბიზნესპარტნიორი, რომელთანაც განსაკუთრებული, ორმხრივსასარგებლო ურთიერთობები ექნება. | | + | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი საწარმო | ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულ-ტურისა და სპორტის სამსახური. | პარტნიორ დაწესებულებებთან სხვადასხვა სახის საქმიან ურთიერთობებში ჩართული პირების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 3-5%-ით. |
| 2 | **ბანკი**: უნივერსიტეტი დაამყარებს ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობებზე დაფუძნებულ, პარტნიორულ ურთიერთობას ერთ-ერთ საბანკო დაწესებულებასთან. | + | + | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი ბანკი | | |
| 3 | **ასოციაცია**: უნივერსიტეტი დაამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას საქმიან ასოციაციასთან, რომელიც შეირჩევა პროფესიული ან სხვა ნიშნით. | | + | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი ასოციაცია | | |
| 4 | **არასამთავრობო ორგანიზაცია:** უნივერსიტეტი დაამყარებს პარტნიორულ ურთერთობებს განათლების სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. | | + | + | + | + | + | + | 1 პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია | | |

**ამოცანა 6.4. უნივერსიტეტის მეგობრები საზოგადოებაში:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მზრუნველთა საბჭო:** უნივერსიტეტი შექმნის მზრუნველთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სამეცნიერო, აკადემიური, ბიზნესის, სამოქალაქო და სახელმწიფო წრეების წარმომადგენლები. ეს საბჭო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ რჩევების მიცემით, საზოგადოებასთან ურთიერთობით და ზოგადად, უნივერსიტეტის განვითარების საკითხებით იქნება დაკავებული. |  | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტის მზურნველთა საბჭო მიიღებს მონაწილეობას სტრატეგიული ტიპის ყველა გადაწყვეტილებაში უნივერსიტეტის მასშტაბით. | ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. | საზოგადოების აზრის გამოკითხვა აჩვენებს უნივერსიტეტისადმი პოზიტიური დამოკიდებულების და საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის აღიარების გადიდებას 3-5%-ით საშუალო წლიურად. |
| 2 | **მხარდაჭერის და განვითარების ფონდი:** უნივერსიტეტის საკუთარი და მოზიდული ფინანსური რესურსები შიდა და გარე სოციალური და აკადემიური საჭიროებისთვის იქნება გამოყენებული. | + | + | + | + | + | + | + | მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის ფინანსური მასშტაბი ყოველწლიურად გაი-ზრდება 3-5%-ით |  |  |
| 3 | **საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები:** უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მჭიდრო კავშირს დაამყარებს ცნობილ მეცნიერებთან, ხელოვანებთან, მწერლებთან, რომლებიც ასოცირებულები იქნებიან უნივერსიტეტთან. |  | + | + | + | + | + | + | ყოველწლიურად უნივერსიტეტი „შეიძენს“ საზოგადოებისთვის ცნობილი 1 სახეს. |  |  |

**მიზანი 7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.**

**გადაჭრის გზები:**

7.1. უნივერსიტეტის ფართის ზრდისა და განვითარების დაგეგმვა და განხორციელება სასწავლო პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე.

7.2. უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;

7.3. სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნა;

7.4. სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ აქტივობებში: სასწავლო პროცესის გარე აქტივობების, სტუდენტების მოქალაქეობრივი და ინტელექტუალური განვითარებისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცის ორგანიზება, შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

**7.1. უნივერსიტეტის ფართის ზრდა და განვითარება უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, სასწავლო პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ფართის გაზრდა:** უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ფართი გაიზრდება სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროპორციულად. უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, განავითარებს არსებულ ფართებს, მეორე მხრივ, იზრუნებს ახალი ფართების შემატებაზე, როგორც საკუთარი ძალებით, ისე ხელისუფლების დახმარებით. | + | + | + | + | + | + | + | საერთო საუნივერსიტეტო ფართობის საშუალო-წლიური ზრდა შეადგენს 3-5% წლიურად. | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. | ერთ სტუდენტზე მოსული ფართობის საშუალო წლიური ნაზრდი 3-5%ით. |
| 2 | **ფართის ეფექტური გამოყენება:** სასწავლო ფართის ეფექტურად გამოყენების მიზნით, დაინერგება | | + | + | + | + | + | + | მეცადინეობებზე სამუშაო ოთახების დამთხვევის | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწავლო პროცესის (ცხრილების) ერთიანად ორგანიზების ელექტრონული პროგრამა. | | | | | | | | შემთხვევები ნულამდე იქნება დაყვანილი. | | |
| 3 | **სანიტარია:** განხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მკაცრი მინიტორინგი. | + | + | + | + | + | + | + | სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვა აფიქსირებს სანიტა-რულ-ჰიგიენური მდგომარეობის პოზიტიური შეფასებების გადიდებას 10%-ით საშუალო წლიურად. | | |
| 4 | **მოდერნიზებული საერთო საცხოვრებელი:** კომფორტული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მიზნით, აშენდება სტუდენტთა ახალი, თანამედროვე სტანდარტების საცხოვრებელი. | + | + | + | + | + | + | + | სტუდენტების გამოკითხვა აფიქსირებს საერთო საცხოვრებლის მდგომარეობის პოზიტიური შეფასებების გადიდებას 10%-ით საშუალო წლიურად. | | |

7.2. უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | **სამიზნე ნიშნულები** | **განმახორციელებელი** | **ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ფართი:** სასწავლო ფართი აღიჭურვება როგორც უშუალოდ სწავლებასთან დაკავშირებული მატერიალური | + | + | + | + | + | + | + | სასწავლო ფართის აღჭურვაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საშუალო | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების წლიური ნაზრდი = 1-4 %. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | და ინფორმაციული რესურსებით (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, სპეციალური პროფესიული ინვენტარი და ა.შ.), ასევე სხვა ელემენტებითაც (კონდიცირება, თანამედროვე ავეჯი და ა.შ.). | | | | | | | | წლიური ნაზრდი = 1-3% | | |
| **2** | **თანამედროვე სტანდარტების კვლევითი ფართი:** კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალიზებული კაბინეტების, ლაბორატორიების თანამედროვედ აღჭურვა; ფიტოპატოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის ახალი შენობის აგება. | + | + | + | + | + | + | + | კვლევითი ფართობების აღჭურვაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საშუალო წლიური ნაზრდი = 3-5%. | | |
| **3** | **თანამედროვე სტანდარტების საპროფესორო:** აკადემიურ პერსონალს შეექმნება შესაფერისი სამუშაო გარემო. | | + | + | + | + | + | + | საპროფესოროების აღჭურვაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საშუალო წლიური ნაზრდი = 3-5% | | |
| **4** | **თანამედროვე სტანდარტების სამუშაო გარემო:** უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღიჭურვება თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. | + | + | + | + | | | | ადმინისტრაციული ფართის აღჭურვაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საშუალო წლიური ნაზრდი = 3-5% | | |

7.3. სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნა:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ინტერნეტქსელის განვითარება-განახლება:** სტუდენტისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე. | + | + | + | + | + | + | + | 2019 წელს უნივერსიტეტის ყველა კორპუსში იქნება გამართული ინტერნეტ კავშირი. | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. | გამოკითხვა აჩვენებს უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების გარემოთი კმაყოფილი სტუდენტების რაოდენობის გადიდებას მინიმუმ 3-5%-ით წლიურად. |
| 2 | **დასასვენებელი სივრცეები და ღია ბიბლიოთეკები სტუდენტებისთვის:** დასასვენებელი სივრცეებით და ღია ბიბლიოთეკებით აღიჭურვება უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია. | + | + | + | + | + | | | 2019 წელს მთელ უნივერსიტეტს მოიცავს დასასვენე-ბელი სივრცეები და ბიბლიოთეკები. | | |
| 3 | **სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემო**: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას. | + | + | + | | | | | 2020 წელს დასრულდება ინკლუზიური ინფრა-სტრუქტურის მოწყობა. | | |
| 4 | **განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა**: უნივერსიტეტი შეეცდება განავითაროს სპორტის სახეობები (კლუბებისა და სექციების სახით), მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. | + | + | + | + | + | + | + | 2024 წლისთვის სრულად აღიჭურვება ყველა სპორტული ინფრასტრუქტურულ ი ობიექტი. | | |

7.4 სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ აქტივობებში: სასწავლო პროცესის გარე აქტივობების, სტუდენტების მოქალაქეობრივი და ინტელექტუალური განვითარებისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცის ორგანიზება, შესაბამისი ინფრასტრუქტურით:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სტუდენტური კაფე:** საუნივერსიტეტო სივრცეში გაიხსნება თანამედროვე სტუდენტური კაფე. | + | + | + | + | | | | 2021 წლისთვის სრულად გაიმართება სტუდენტური კაფე. | ადმინისტრაცია<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური<br><br>სტუდენტური ორგანიზაციები. | გამოკითხვა აჩვენებს რომ სტუდენტური ცხოვრებაში ცართულად თავს გრძნობს გამოკითხულთა მინიმუმ 60%, რაოდენობის გადიდების 3-5%-ით წლიურად. |
| 2 | **ტელე-რადიო სტუდია და გაზეთი:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტური ტელე-რადიო სტუ-დიისა და გაზეთის განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ მნიშვნელოვან საუნივერსიტეტო და ქვეყნის პრობლემურ საკითხებზე. | | + | + | + | + | | | 2022 წლისთვის სრულად გაიმართება სტუდენტურ ტელე-რადიო სტუდია, საიდანაც გაშუქდება სტუდენტური ცხოვრება. | | |
| 3 | **შეხვედრები წარმატებულ ადამიანებთან:** უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს სტუდენტების რეგულარულ შეხ-ვედრებს საზოგადოებაში ცნობილ, წარმატებულ ადამიანებთან. | + | + | + | + | + | + | + | წლის განმავლობაში ჩატარდება მინიმუმ 2 შეხვედრა ცნობილ საზოგადო მოღვა-წეებთან. | | |
| 4 | **სტუდენტური თვითშემოქმედება:** უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტური თვითშემოქმედების განვითარებას ყველა მიმართულებით (თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სპორტული წრეები და ა.შ.) | + | + | + | + | + | + | + | სტუდენტთა მინიმუმ 15% იქნება ჩართული სხვადასხვა სახის საუნივერსიტეტო სტუდენტურ აქტივობაში, მოცემული მაჩვენებლის ზრდის 3-5%იანი წლიური ტემპით. | | |

**მიზანი 8. აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ეფექტური:**

**გადაჭრის გზები:**

8.1. მენეჯმენტის ყველა რგოლში ორგანიზაციული ეფექტურობის გაზრდა;
8.2. დანახარჯების ეფექტიანობის გაზარდა და ხარჯვითი პროცესის გამჭვირვალობა;
8.3. შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით შეფასება;
8.4. სტუდენტისა და თანამშრომლის სოციალური დაცულობის გაუმჯობესება;
8.5. უნივერსიტეტის საინვესტიციო სტრატეგიის ჩამოყალიბება;
8.6. უნივერსიტეტის ძირითადი სერვისების განვითარება;
8.7. უნივერსიტეტის სარეკლამო სტრატეგიის გავრცელება არა მარტო რეგიონში, არამედ საქართველოსა და უცხოეთში;
8.8. უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაგეგმარების დახვეწა.

**8.1. მენეჯმენტის ყველა რგოლში ორგანიზაციული ეფექტურობის გაზრდა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ადმინისტრაციული რეფორმა:** უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნებისმიერი პოზიციისთვის გაწერილი ვალდებულებები უნდა იყოს შედარებული სამუშაოს მოცულობასთან, რომელსაც ამ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლები ასრულებენ და მიღებული იქნეს გადაწყვეტილება პოზიციის გაუქმების ან დამატების შესახებ. | + | + | + | | | | | 2020 წლისთვის უნივერსიტეტში დასრულდება ადმინისტრაციული რეფორმა. | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი. | შესაბამისი ანალიზი აჩვენებს ადმინისტრაციის სამუშაო დროის გამოყენების ეფექტიანობის გადიდებას საშუალო წლიურად 3-5%-ით. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **დუბლირების თავიდან აცილება:** თითოეული დეპარტამენტის და სამსახურის სამუშაო ვალდებულებები უნდა იქნეს შეფასებული უნივერსიტეტის მიზნებისთვის არასაჭირო ოპერაციებისა და დუბლირების გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით. | + | + | + | | | | | დეპარტამენტების და სამსახურების სტუქტურული და ფუნქციური ეფექტურობის შესწავლა განხორციელდება ყო-ველ 2 წელიწადში ერთხელ. | | |
| 3 | **მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები, სამუშაო გეგმები და შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლები:** თითოეულ დეპარტამენტს და სამსახურს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულება, სამუშაო გეგმა და რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოხატული მუშაობის შედეგები. | + | + | + | | | | | 2020 წლისთვის დაინერგება ახალი ტიპის დებულებები და სამუშაო გეგმები. | | |

**8.2. დანახარჯების ეფექტიანობის გაზრდა და ხარჯვითი პროცესის გამჭვირვალეობა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ანგარიში შესყიდვების შესახებ**: უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ანგარიშს შესყიდვების შესახებ, თუ რა სახის შესყიდვები განხორციელდა და ვისგან იქნა შესყიდული საქონელ-მომსახურება. | + | + | + | + | + | + | + | ანგარიშის გამოქვეყნდება. | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი<br><br>სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების შესარჩევი საბჭო | ანგარიშები საჯაროდ იქნება განხილული.<br><br>უნივერსიტეტის საჯაროობის და გამჭვირვალობის სესახებ საზოგადოების გამოკითხვა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **ანგარიში სტუდენტების მიერ თანხების ხარჯვის შესახებ:** უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსების ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ. | + | + | + | + | + | + | + | ანგარიშის გამოქვეყნდება. | | უნდა აჩვენებდეს საზოგადოების კმაყოფილების ზრდას რაოდენობრივ მაჩვენებლებში მინიმუმ 3-5%ით საშუალო წლიურად. |
| 3 | **ანგარიში პერსონალის მივლინებების შესახებ:** უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს ანგარიშს მივლინებების რაოდენობის, დანიშნულების, დაფინანსებისა და მიზნობრიობის შესახებ. | + | + | + | + | + | + | + | ანგარიშის გამოქვეყნდება. | | |
| 4 | **ანგარიში ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის შესახებ:** უნივერსიტეტი ყოველწლიურად უნდა ისმენდეს ანგარიშს ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვის ოდენობის, დანიშნულებისა და მიზნობრიობის შესახებ. | + | + | + | + | + | + | + | ანგარიშის გამოქვეყნდება. | | |

8.3. შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით შეფასება:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შიდა აუდიტი**: შეიქმნება შიდა აუდიტი, რომლის დანიშნულება იქნება სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული დეპარტამენტების მუშაობის შეფასება ეფექტიანობის პრინციპის საფუძველზე. | + | + | + | + | + | + | + | შიდა აუდიტის მიერ განხორციელდება ეფექტიანობის მინიმუმ 1 კვლევა წელიწადში. | ადმინისტრაცია<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | სტუდენტების და პერსონალის, ასევე საზოგადოების და ინტერესთა ჯგუფების კმაყოფილება უნივერსიტეტში სწავლის და სწავლის/კვლევის ადმინისტრირების პროცესებით აჩვენებს პოზიტიური დამოკიდებულების გადიდებას 3-5%-ით საშუალო წლიურად. |
| 2 | **სწავლების პროცესის შეფასება:** სწავლების პროცესი შეფასდება შედეგის (დასაქმება, სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელება) მიხედვით. | + | + | + | + | + | + | + | სწავლების პროცესის შედეგების ანალიზი უნდა აჩვენებდეს წარმატებული და საქმების და შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლების გადიდებას 3-5%-ით საშუალო წლიურად | | |
| 3 | **კვლევითი საქმიანობის შეფასება:** კვლევების ხარისხი შეფასდება იმპლემენტაციის მაჩვენებლით. | + | + | + | + | + | + | + | კვლევითი საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენადობის ანალიზი უნდა აჩვენებდეს იმპლემენტაციის რაოდენობათა გადიდებას საშუალო წლიურად მინიმუმ 3-5%-ით. | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება:** ადმინისტრაციული საქმიანობა შეფასდება შესაბამისი ამოცანების შესრულების ხარისხით. | + | + | + | + | + | + | + | საერთო დავალებების დროში შესრულებადობის ანალიზი უნდა აჩვენებდეს 90% დავალებების შესრულებას შინაგანაწესის, სამსახურის დებულების, დადგენილი სტანდარტების და რეგულაციების შესაბამისად. | | |

8.4. სტუდენტისა და თანამშრომლის სოციალური დაცულობის გაუმჯობესება:

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შეღავათები სტუდენტებს და სტიპენდიების პროგრამა:** უნივერსიტეტი გააგრძელებს სტუდენტებისთვის შეღავათების (სოციალური პროექტები) გაწევას და სტიპენდიების პროგრამის განხორციელებას. | + | + | + | + | + | + | + | სასტიპენდიო ფონდი გაიზრდება ყოველწლიურად 3-5%-ით. | ადმინისტრაცია<br><br>წარმომადგენლობითი საბჭო<br><br>სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახური | გამოკითხვები უნდა აჩვენებდეს საუნივერსიტეტო ცხოვრებით სტუდენტების და პერსონალის პოზიტიური შეფასებების გადიდებას საშუალო წლიურად 3-5%-ით |
| 2 | **სტუდენტებისთვის დროებითი საცხოვრებლის მონაცემთა ბაზის შექმნა:** შეიქმნება უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გასაქირავებელი ფართების ბაზა, რაც სტუდენტებს | + | + | + | + | + | + | + | მონაცემთა ბაზის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ყოველწლიურად 3-5%ით. | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გაუადვილებს ბინის მოძიების პროცესს. | | | | | | | | | | |
| 3 | **კორპორაციული კულტურა:** უნივერსიტეტი შეეცდება განავითაროს საუნივერსიტეტო კორპორაციული კულტურა, ურთიერთობები მკვლევრებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. | + | + | + | + | + | + | + | ერთობლივი ღონისძიებების, აქტივობების, რაოდენობა (ექსკურსიები, ერთობლივი კონცერტები, ერთობილივ მონაწილეობა სხვადასხვა წრეების მუშაობაში და ა.შ.) საშუალო წლიურად იზრდება 3-5%-ით. | | |

**8.5. უნივერსიტეტის საინვესტიციო სტრატეგიის ჩამოყალიბება:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სტუდენტთა მხარდაჭერის და განვითარების ფონდის რესურსების ეფექტიანი ინვესტირება:** უნივერსიტეტი შეეცდება ფონდის აქტივები შედარებით ნაკლებსარისკო ფინანსურ აქტივებში განათავსოს (მაგალითად სახაზინო ვალდებულებები, მაღალრეიტინგული ბანკების ვადიანი ანაბრები ა.შ.). | | | + | + | | | | ფონდის ფინანსური რესურსების განთავსებიდან სარგებლის სახით მიღებული წლიური შემოსავალი 1-3% ოდენობით. | ადმინისტრაცია<br><br>შესაბამისი ფაკულტეტები<br><br>კვლევითი ინსტიტუტები | უნივერსიტეტის კაპიტალდაბანდებები უზრუნველყოფენ ორგანიზაციის მოგებიანობის გადიდებას საშუალო წლიურად 1-3%-ით. |
| 2 | **უნივერსიტეტის** | | + | + | | | | | საუნივერსიტეტო | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სასტუმრო/სტუდენტთა საცხოვრებელი:** უნივერსიტეტი ააშენებს საუნივერსიტეტო სასტუმროს, რომელიც ტურისტულ სეზონზე კომერციული მიზნით იქნება გამოყენებული. | | | | | | | | სასტუმროს ფარგლებში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა მიეცემა ტურიზმის საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 30 სტუდენტს ყოველ წლიურად.<br><br>სასტუმრო თავისი საქმიანობის შედეგებით უზარალო სტრუქტურა იქნება. | | |
| 3 | **საუნივერსიტეტო კლინიკა:** უნივერსიტეტი შეეცდება საუნივერსიტეტო კლინიკები განავითაროს მაღალი ხარისხის სერვისის მქონე სამედიცინო დაწესებულების რანგამდე, რომლებიც სტუდენტების პრაქტიკასთან ერთად პაციენტთა მომსახურებასაც განახორციელებენ, გამოიყენებიან კომერციული მიზნებით და შექმნიან სამეცნიერო კვლევების ბაზას. ანალოგიური მიმართულება მიეცემა იურიდიულ კლინიკასაც. | | + | + | + | | | | საუნივერსიტეტო კლინიკების პაციენტთა რაოდენობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი = 3-5%. | | |

**8.6. უნივერსიტეტის ძირითადი სერვისების განვითარება:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **პროფესიული პროგრამების განვითარება:** შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, შემუშავდება და განხორციელდება ახალი პროფესიული პროგრამები. | + | + | + | + | + | + | + | ყოველ წლიურად უნივერსიტეტი მოამზადებს და აკრედიტაციაზე შეიტანს მინიმუმ 1 ახალ პროფესიულ პროგრამას. | ფაკულტეტები<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>მაგისტარტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახური<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები<br><br>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური | საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის საშუალო წლიური ზრდა 3-5% შეადგენს. |
| 2 | **საბაკალავრო პროგრამების განვითარება:** უნივერსიტეტი განავითარებს საბაკალავრო პროგრამებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის შედეგად. | + | + | + | + | + | + | + | ორ წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტი მოამზადებს და აკრედიტაციაზე წარადგენს მინიმუმ 1 ახალ საბაკალავრო პროგრამას. | | |
| 3 | **სამაგისტრო პროგრამების განვითარება:** უნივერსიტეტი შეეცდება შეინარჩუნოს და განავითაროს ის სამაგისტრო პროგრამები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო, აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეძლებენ რეალურად მისცენ სტუდენტს სწავლების ამ საფეხურით გათვალისწინებული კონპეტენციები. | + | + | + | + | + | + | + | ორ წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტი მოამზადებს და აკრედიტაციაზე წარადგენს მინიმუმ 1 ახალ სამაგისტრო პროგრამას. | | |
| 4 | **სადოქტორო პროგრამების განვითარება:** უნივერსიტეტი განავითარებს მხოლოდ იმ | | + | + | + | + | + | + | საშუალოდ წლიურად უნივერსიტეტი გამოაცხადებს | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სადოქტორო პროგრამებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო, აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი სამეცნიერო სიახლეების მიღწევას.<br><br>ბსუ-ს ინტერესებიდან გამომდინარე, დოქტორანტის მომზადება შეიძლება დააფინანსოს უნივერსიტეტმა, ხოლო გარედან მომართვის შემთხვევაში, დაწესდება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რეალური ფასი. | | | | | | | | მინიმუმ 1 დოქტორანტის სწავლის ქირის სრულ დაფინანსებას, დაფინანსების გაცემის მკაფიო, კონკურსის წესით გაცემის პროცედურებით და მისი მკაფიო არგუმენტირებით | | |

**8.7. უნივერსიტეტის სარეკლამო სტრატეგიის გავრცელება არა მარტო რეგიონში, არამედ საქართველოსა და უცხოეთში:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **რეკლამირება რეგიონში:** რეგიონში რეკლამა, ძირითადად, განხორციელდება მომხმარებელთან მჭიდრო და უშუალო კონტაქტით (ღია კარის დღე, ვიზიტები სკოლებში, კამპანია მასმედიის მეშვეობით). | + | + | + | + | + | + | + | რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტების მიერ ეროვნულ გამოცდებზე პირველ ადგილზე მითითებათა რაოდენობაში უნივერსიტეტის წილი გაიზრდება 3-5%-ით ყოველწლიურად. | ადმინისტრაცია<br><br>საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური<br><br>ფაკულტეტები<br><br>სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა სამსახური | უნივერსიტეტის სარეკლამო კამპანიის დაფარვის ზონა საშუალო წლიურად 3-5% იზრდება. |
| 2 | **ქვეყნის მასშტაბით რეკლამირება:** ქვეყნის მასშტაბით რეკლამა განხორციელდება მასმედიისა და | + | + | + | + | + | + | + | ქვეყნის მასშტაბით აბიტურიენტების მიერ ეროვნულ | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სოციალური ქსელების მეშვეობით, სხვა რეგიონებიდან ჩამოსული, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დახმარებით. | | | | | | | | გამოცდებზე პირველ ადგილზე მითითებათა რაოდენობაში უნივერსიტეტის წილი გაიზრდება 1-3%-ით ყოველწლიურად. | | |
| 3 | **საერთაშორისო რეკლამირება**: საერთაშორისო რეკლამა მიზნობრივ ბაზარზე განხორციელდება სოციალური ქსელების, უცხოენოვანი ბუკლეტების, უცხოელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დახმარებით. | + | + | + | + | + | + | + | უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი = 3-5%. | | |

**8.8. უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაგეგმარების დახვეწა:**

| № | ქვეამოცანა | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | სამიზნე ნიშნულები | განმახორციელებელი | ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **უნივერსიტეტის ბიუჯეტი:** უნივერსიტეტი თანდათანობით გადავა პროგრამულ ბიუჯეტზე | | | + | + | | | | 2021 წელს უნივერსიტეტი პროგრამულ ბიუჯეტზე გადავა | ადმინისტრაცია<br><br>ფაკულტეტები<br><br>დარგობრივი დეპარტამენტები<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. | უნივერსიტეტის სტუდენტების და პერსონალის საბიუჯეტო დაგეგმვაში ჩართულობის კვლევა აჩვენებს რომ გამოკითხულთა მინიმუმ 60% მონაწილეობას ღებულობდა საბიუჯეტო მუხლებისშესახებ გადაწყვეტილებების მირების პროცესში და გრძნობდა ტავს |
| 2 | **ფაკულტეტების ბიუჯეტები:** უნივერსიტეტი შეეცდება შეისწავლოს საფაკულტეტო ბიუჯეტების საუკეთესო გამოცდილება საქართველოში და საზღვარგარეთ და მოამზადოს ბაზა ფაკულტეტების დამოუკიდებელი | | | + | + | + | | | 2022 წელს უნივერსიტეტის ფაკულტეტები დამოუკიდებელ ბიუჯეტებზე გადავლენ | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბიუჯეტების ჩამოყალიბებისა და ამოქმედებისათვის. | | | | | | | | | | ჩართულად ბიუჯეტირების პროცესში. |
| **3** | **საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები:** ყოველ პროგრამას უნდა ჰქონდეს გათვლილი საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ ეფექტიანობას. | | + | + | + | + | + | + | 2024 წლიდან ყოველი საგანმანათლებლო პროგრამა (მ.შ. ფუნდამენტურ მეცნიერებებში, სადაც შესაძლებელია) ფინანსურად ეფექტიანი უნდა გახდეს. | | |
| **4** | **ალტერნატიული მიდგომა ფუნდამენტური და სტრატეგიული პროგრამების მიმართ:** იმ პროგრამების მიმართ, რომლებიც ფინანსურად არაა ეფექტური, უნივერსიტეტი შეიმუშავებს საგანგებო კრიტერიუმებს, მათი განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად. | | + | + | + | + | + | + | საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოებრივი / საუნივერსიტეტო საჭიროება არგუმენტირებული იქნება მკაფიო / სპეციფიკური კრიტერიუმების გამოყენებით. | | |

## სტრატეგიული განვითარების გეგმის წარმატებით განხორციელების

## ფაქტორები და რესურსები:

1. უნივერსიტეტის გამოცდილება და იმიჯი;
2. უნივერსიტეტში არსებული ძლიერი სასწავლო და სამეცნიერო სკოლები;
3. უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტები;
4. საერთაშორისო ურთიერთობები;
5. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
6. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა;
7. უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
8. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
9. სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა;
10. სახელმწიფო ინსტიტუციების მხარდაჭერა.

,,დამტკიცებულია“
,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების
შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ”
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N45 დადგენილებით
**დანართი 2**

**ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წესი**

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) სტრატეგიული განვითარების გეგმით (2018-2024) დასახული მიზნის მისაღწევად და სამოქმედო გეგმით (2018-2020) განსაზღვრული და ბსუ-ს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის (შემდეგში ,,მონიტორინგი“) ღონისძიებებს.

2. **ბსუ-ს მიერ დაგეგმილ აქტივობებში იგულისხმება** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევად დასახული გზები და ტაქტიკური სქემები (ქვეამოცანები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები), რომელიც დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N45 დადგენილების **N1 დანართით.**

3. მონიტორინგის განხორციელების მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი.

4. მონიტორინგის ჯგუფი სამუშაო პროცესში ხელმძღვანელობს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბსუ-ს სტრატეგიული გეგმით, სამოქმედო გეგმით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N45 დადგენილებით და დაგეგმილი აქტივობების შესრულების ეფექტური მონიტორინგისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აქტებით ან/და დოკუმენტებით.

5. **მონიტორინგის ჯგუფი ამ წესის მიზნებისათვის ახორციელებს:**

ა) დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და პერიოდულ ანალიზს;

ბ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების დროულ გამოვლენას;

გ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების (ხარვეზების) აღმოსაფხვრელად წინადადებების შემუშავებას;

დ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრას, სტრუქტურული ერთეულების დროულ ინფორმირებულობას და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;

ე) საკუთარი ინიციატივით რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების (მათ შორის, წინა მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით) მონიტორინგის დაწყებას;

ვ) მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის შეჯამებას ყოველი 3 თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ კვირაში);

ზ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, რეკომენდაციების შემუშავებას და ბსუ-ს მართვის ორგანოებისათვის მიწოდებას;

თ) მონიტორინგის მიზნით მისაღწევ სხვა კანონისმიერ აქტივობებს.

6. მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა უნდა ჩატარდეს არაუმეტეს თვეში ერთხელ. შეხვედრის ორგანიზება ხორციელდება ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, რექტორის აპარატთან კოორდინირებული მუშაობით.

7. მონიტორინგის ჯგუფის პირველ სამუშაო შეხვედრაზე ხმათა უმრავლესობით:

ა) აირჩევა სამუშაო ჯგუფის მდივანი, რომელიც შეხვედრის მიმდინარეობას და მიღებულ გადაწყვეტილებებს მოკლედ ასახავს ოქმში (ოქმები ინახება ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში);

ბ) მონიტორინგის ჯგუფის წევრებს განესაზღვრებათ საკურაციო მიმართულებები;

გ) დაიგეგმება თითოეული საკურაციო მიმართულებაში დაგეგმილი აქტივობების შესრულებისათვის მონიტორინგის გეგმა ან/და განისაზღვრება ჩასატარებელი კვლევის საჭიროება;

8. მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები, წინადადებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები წარედგინება ბსუ-ს მართვის ორგანოებს (კომპეტენციებისა და შესასრულებელი/გასათვალისწინებელი ღონისძიებების მიხედვით).